



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/
აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
08. 10. 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
28. 11. 19

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	სსიპ

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის)
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	არ ენიჭება
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, აკრედიტებულია 2019 წლის 31 დეკემბრამდე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინა ბერიძე
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის) ხორციელდება 2010 წლიდან. პირველი აკრედიტაცია პროგრამამ მიიღო 2011 წლის 4 ნოემბერს # 237 გადაწყვეტილებით. პროგრამაში რეგულარულად ხდებოდა საგანმანათლებლო პროგრამისადმი წაყენებული მოთხოვნების ასახვა, რაც გამოიხატება სასწავლო კომპონენტების, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების სიტემის სრულყოფაში, ლიტერატურის მუდმივ განახლებაში, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებაში, პროგრამის შიდა და გარე შეფასების კომპონენტების განვითარებაში. ამდენად, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მანძილზე დაგროვდა დადებითი გამოცდილება, რომლის ანალიზმა მკაფიოდ წარმოაჩინა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გაგრძელების პერსპექტივა და განხორციელების შესაძლებლობა.
- განმეორებითი აკრედიტაციისათვის პროგრამამ განიცადა ცვლილებები, გადამუშავდა პროგრამის სტრუქტურა, სილაბუსები, შეფასების სისტემა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, აფხაზური) სკოლა; პროგრამა არაქართულენოვან სტუდენტებისთვის გულისხმობს კვოტის (სუდენტთა მისაღები სრული კონტინგენტის 5-5 პროცენტი - აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი, 1-1 პროცენტი - აფხაზური და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის) შემოღებას საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ცენტრის დირექტორის ბრძანების #876 (24.09.2019) თანახმად, 2019 წლის 9 ოქტომბერს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, მარინე ბერიძე.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის) მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე,

შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის რექტორთან, კანცლერთან, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ფაკულტეტის დეკანთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკები და სხვ.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია პროგრამის, მისი სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

- მიზანშეწონილია, გააქტიურდეს მუშაობა სომხურენოვან სკოლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, რესურს-ცენტრებთან, აბიტურიენტებთან, ინტენსიური მუშაობის ჩატარება კონტინგენტის მოზიდვის მიზნით.
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებიდან და მისიიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გააქტიურდეს მუშაობა რეგიონში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით 1+4 პროგრამაში მათი ჩართულობის შესაძლებლობებზე, ასევე, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირების შესახებ. მათ შორის, რეგიონში მცხოვრები ოსი აბიტურიენტების მიმართულებით.

- მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაცია არა მხოლოდ კახეთის რეგიონში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში, ეთნიკურ უმცირესობებში: აზერბაიჯანელებში, სომხებში, ოსებში, აფხაზებში.
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
 - სასურველია მოხდეს პროგრამის სტუდენტების ინტეგრაცია ხვადასხვა სტუდენტური აქტივობების ხელშეწყობის გზით. მათ შორის, სტუდენტური კლუბის, სპორტული, სახელოვნებო წრეების, ტუტორიუმისა და სხვა აქტივობებით.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წელს აკრედიტაცია გაიარა საგანმანათლებლო პროგრამამ ქართული, როგორც მეორე ენა (დადგენილება აკრედიტაციის შესახებ 4.11.2011 #237). აღნიშნული პროგრამა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა 2010 წლიდან. ხელახალი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ პროგრამაში განხორციელდა არსებითი ცვლილებები, რაც გამოწვეულია დარგის ახალი რეგულაციებით. ხელახალი აკრედიტაციისათვის დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის). პროგრამაში შეიცვალა სასწავლო კომპონენტი, სწავლა-სწავლების მეთოდები. აისახა ის გამოცდილება, რაც ქართული ენის სწავლებისას დაგროვდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უნივერსიტეტებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის) შეიქმნა სსიპ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მისი მიზანი შესაბამისობაშია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან.
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაა: უმაღლესი განათლების სამივე საფეხურსა და პროფესიულ სწავლებაში თანამედროვე მეთოდებზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების დანერგვით, აკადემიური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება სხვადასხვა მიმართულებით; რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცოდნის შექმნა, დაგროვება და გაზიარება. საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიაში არსებულ მოთხოვნას რეგიონის პრიორიტეტებისა და თავისებურებების გათვალისწინების შესახებ, რათა კახეთის რეგიონის, არაქართულენოვანი (აზერბაიჯანელი, სომეხი, ოსი, აფხაზი) მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს უმაღლესი განათლების მიღება ქართულ ენაზე და მათ არ მოუწიოთ სხვა ქვეყანაში წასვლა სწავლის გასაგრძელებლად.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, აფხაზური) სკოლა; აღნიშნულ სკოლებში დღეს არსებული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს არაქართულენოვანი აბიტურიენტების კონკურენტუნარიანობას ქართულენოვან სკოლადამთავრებულ აბიტურიენტებთან, რის გამოც შეიქმნა სახელმწიფო პროგრამა, სადაც საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში, უნივერსიტეტებში შეიქმნა ერთწლიანი (60 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არაქართულენოვან სტუდენტებისთვის გულისხმობს კვოტის (სუდენტთა მისაღები სრული კონტინგენტის 5-5 პროცენტი - აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი, 1-1 პროცენტი - აფხაზური და ოსურენოვანი

აბიტურიენტებისთვის) შემოდებას.

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის) მიზანია უზრუნველყოს ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ აბიტურიენტმა შეძლოს: წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება); ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად (ე. წ. “სწავლის სწავლის” კომპონენტი). ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა; ამ სტანდარტის დაფარვის შემთხვევაში მისდწევია ზოგადევროპული სისტემის მიხედვით განსაზღვრული შემდეგი ენობრივი კომპოტენციები: გრამატიკული (სინტაქსური და მორფოლოგიური) წესების გამოყენებით ლექსიკური მარაგის გააზრებულ გამოთქმებად გარდაქმნა და ქართული ენის ნორმების შესატყვისად აგებული კონსტრუქციების შექმნა (ლინგვისტური კომპეტენცია); ენობრივი ფორმების სიტუაციის (კონტექსტის - ვინ, ვისთან, სად, რის გამო, რა მიზნით ამყარებს ურთიერთობას) შესაბამისად შერჩევა და გამოყენება (სოციოლინგვისტური კომპეტენცია); ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში თავისუფლად ორიენტირება: აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიების დაუფლება და გამოყენება (სოციოკულტურული კომპეტენცია); მოცემულ სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატური თვით გამოხატვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი უნარების დაუფლება და გამოყენება (სოციალური კომპეტენცია); ვერბალური და არავერბალური საშუალებებით, ენის შეზღუდულად ფლობის პირობებში, არსებული ხარვეზის გადაფარვა. (სტრატეგიული კომპეტენცია).
- როგორც თვითმეფასების ანგარიშიდან, ისე უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებიდან ირკვევა, პროგრამაში ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა უნივერსიტეტს აქვს დადებითი გამოცდილება მხოლოდ ეთნიკურად აზერბაიჯანელი აბიტურიენტებისა და სტუდენტების მიმართულებით.
- მიზანშეწონილია, გააქტიურდეს მუშაობა სომხურენოვან სკოლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, რესურს-ცენტრებთან, აბიტურიენტებთან, ინტენსიური მუშაობის ჩატარება კონტინგენტის მოზიდვის მიზნით.
- სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებიდან და მისიიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გააქტიურდეს მუშაობა რეგიონში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით 1+4 პროგრამაში მათი ჩართულობის შესაძლებლობებზე, ასევე, ანიშნული საგანმანათლებლო პროგრამის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირების შესახებ. მათ შორის, რეგიონში მცხოვრები ოსი აბიტურიენტების მიმართულებით.
- მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაცია სხვა რეგიონებში, ეთნიკურ უმცირესობებში: აზერბაიჯანელებში, სომხებში, ოსებში, აფხაზებში.

- სასურველია მოხდეს პროგრამის სტუდენტების ინტეგრაცია ხვადასხვა სტუდენტური აქტივობების ხელშეწყობის გზით.
-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის)
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- მიზანშეწონილია, გააქტიურდეს მუშაობა სომხურენოვან სკოლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, რესურს-ცენტრებთან, აბიტურიენტებთან, ინტენსიური მუშაობის ჩატარება კონტინგენტის მოზიდვის მიზნით.
- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებიდან და მისიიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გააქტიურდეს მუშაობა რეგიონში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით 1+4 პროგრამაში მათი ჩართულობის შესაძლებლობებზე, ასევე, ანიშნული საგანმანათლებლო პროგრამის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირების შესახებ. მათ შორის, რეგიონში მცხოვრები ოსი აბიტურიენტების მიმართულებით.
- მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაცია არა მხოლოდ კახეთის რეგიონში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში, ეთნიკურ უმცირესობებში: აზერბაიჯანელებში,

სომხებში, ოსებში, აფხაზებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <ul style="list-style-type: none"> ○ სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურად არის განსაზღვრული. ○ პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას და საკუთარი წვლილის შეტანას მის განვითარებაში. ასევე შეძლებს წარმატებულ კომუნიკაციას ქართულ ენაზე, სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა

აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგებასა და შექმნას (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევას და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრებას); ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობას, დაფასებასა და პატივისცემას. ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავებას და გამდიდრებას დამოუკიდებლად. შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნასა და ენობრივ უნარებს, როგორებიცაა: ცოდნა და გაცნობიერება, ქართული ენის პრაქტიკული და საკომუნიკაციო გამოყენების უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, ინფორმაციის ავტონომიურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორეული წყაროების გამოყენებით და სხვ. აღნიშნულ უნარებს სტუდენტები გამოიმუშავებენ ლექცია-სემინარებისა და საშინაო დავალებებზე მუშაობის დროს.

- უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით წელიწადში ორჯერ. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის განვითარება. პროგრამა შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლებს, მასში ასახულია თანამედროვე სტანდარტები, როგორებიცაა დიფერენცირებული სწავლება, ინტეგრაციული სწავლება და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენივანთათვის/ ოსურენოვანთათვის)
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან
- გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობებს წარმოადგენს: ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ ენებზე) ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენივანთათვის/ ოსურენოვანთათვის)
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან
- გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> • სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის) ხორციელდება 2010 წლიდან. პირველი აკრედიტაცია პროგრამამ მიიღო 2011 წლის 4 ნოემბერს # 237 გადაწყვეტილებით. პროგრამაში რეგულარულად ხდებოდა საგანმანათლებლო პროგრამისადმი წაყენებული მოთხოვნების ასახვა, რაც გამოიხატება სასწავლო კომპონენტების, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების სიტემის სრულყოფაში, ლიტერატურის მუდმივ განახლებაში, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებაში, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის დანერგვაში, პროგრამის შიდა და გარე შეფასების კომპონენტების განვითარებაში. ამდენად, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მანძილზე დაგროვდა დადებითი გამოცდილება, რომლის ანალიზმა მკაფიოდ წარმოაჩინა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გაგრძელების პერსპექტივა და განხორციელების შესაძლებლობა. • განმეორებითი აკრედიტაციისათვის პროგრამამ განიცადა ცვლილებები,

გადამუშავდა პროგრამის სტრუქტურა, სილაბუსები, შეფასების სისტემა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება.

- ქართულ ენაში მომზადების პროგრამა 60 კრედიტიანია. კრედიტები განაწილებულია ორ სემესტრზე. პროგრამა შედგება 23 სილაბუსისგან. პირველ სემესტრში სტუდენტები გაივლიან ექვს 5 კრედიტიან სასწავლო კურსს (თითოეული კურსი წარმოდგენილია 2 ვერსიად: A და B ბლოკის კურსები. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე - შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკს აირჩევს სტუდენტი.
- A ბლოკზე სწავლება ხორციელდება მეტი საკონტაქტო საათის საფუძველზე (A ბლოკში თითოეული კურსი კვირეული 5-საათიანი საკონტაქტო საათით განისაზღვრება; კურსი ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ენის ინტენსიური სწავლების კონტექსტში განიხილება. მეორე სემესტრში 5 სავალდებულო და ერთი არჩევითი სასწავლო კურსია, რომელიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას ემსახურება. დამატებით, პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული სწავლების კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია კურსის „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“ სახით და ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება (კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკ-ის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში). ამავე სემესტრში პილოტირების ეტაპიდან დანერგვის ეტაპზე გადადის ინოვაციური მიდგომა კითხვის ენობრივი უნარების მიმართულებით - შემუშავებულია არჩევითი დარგობრივი კურსები (6 კურსი); ეს არჩევითი დარგობრივი კურსები შეიქმნა შემსწავლელთა მომავალი პროფესიული არჩევანის გათვალისწინებით და გულისხმობს იმ ტერმინოლოგიის, დარგობრივი ლექსიკისა და სპეციფიკური კონსტრუქციების სწავლებას, რომლებიც ამა თუ იმ დარგობრივი მიმართულებისთვისაა გამიზნული (ფილოლოგია, ისტორია, მათემატიკა, სამართალი, ბიოლოგია და ბიზნესი/ეკონომიკა).
- აკადემიური პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი ადასტურებს საგნობრივ და პრაქტიკულ კომპეტენციებს, წარმატებული დასრულების შედეგად კურსდამთავრებულზე გაიცემა სერტიფიკატი, რომელიც მას აძლევს უფლებას სწავლა განაგრძოს საბაკალავრო საფეხურზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენივანთათვის/ ოსურენოვანთათვის)
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან ○ გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან ○ გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, აფხაზური) სკოლა შედგება შემდეგი სასწავლო კურსებისაგან:
 - სავალდებულო კურსები:
 - ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) -1.1
 - ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) -1.2
 - ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.1
 - ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.2
 - ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.1
 - ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.2
 - ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) -1.1
 - ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) -1.2
 - ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1. 1
 - ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1. 2
 - ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები
 - ტოლერანტობა და მრავალფეროვნება
 - ფუნქციური წერა
 - ორთოეპია და მართლწერა
 - ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2
 - ენის კომუნიკაციური ასპექტები 1. 1
 - ენის კომუნიკაციური ასპექტები 1.2
 - არჩევითი კურსები:
 - ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ფილოლოგია)
 - ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ისტორია)
 - ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (მათემატიკა)
 - ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (სამართალი)
 - ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ბიზნესი, ეკონომიკა)
 - ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ბიოლოგია)
- აღნიშნული სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევადობას.
- პირველ სემესტრში სასწავლო კურსები დაყოფილია ბლოკებად. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში პირველ სემესტრში არის ორი ბლოკი, პირველ ბლოკში განსაზღვრულია მეტი საკონტაქტო საათი თითოეულ საგანში. პროგრამაში შემავალ საგნებს აქვს პირველ სემესტრში განსხვავებული სილაბუსები, რაც სრულად პასუხობს თანამედროვე სტანდარტებსა და მახასიათებლებს. მეორე სემესტრში ბლოკებად სწავლება აღარ გამოიყენება. მეორე სემესტრიდან სტუდენტებმა უნდა გაიარონ სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი საგნები. ექსპერტთა აზრით, საგნების ამგვარი განაწილება შეესაბამება ქართულ ენაში

მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენივანთათვის/ ოსურენოვანთათვის)
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან
- გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- ზოგიერთ სილაბუსში შეინიშნება ქართულის, როგორც მეორე ენის დასაწყისი საფეხურისათვის რთული თემები და სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა. სასურველია, სილაბუსები დაუახლოვდეს ქართულის, როგორც მეორე ენის მოსამზადებელი პროგრამის მიზნებს.
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ● ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც აისახება გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობასა (შედეგად იღებს სერტიფიკატს) და მზაობაში სწავლის ზედა საფეხურზე სასწავლებლად. სასწავლო კურსები სააუდიტორიო ფორმისაა, სასწავლო კურსები გარკვეულ „მოსამზადებელ“ ეტაპს წარმოადგენს სტუდენტთათვის ზედა საფეხურზე სწავლის, საქმიანობისა და პროფესიული კომპეტენციების დასაუფლებლად. ითვალისწინებს გარკვეული დავალებების შესრულებას, რაც დაეხმარე ქართული ენის ათვისებაში. სასწავლო კურსის სილაბუსები უზრუნველყოფს ქართული ენის იმგვარად დაუფლებას, რომ სტუდენტმა შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება); ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად (ე.წ. „სწავლა-სწავლების“ კომპონენტი). ● ქართული ენის პრაქტიკული გამოყენება მიღწევადია წერითი და ზეპირი პრაქტიკული სავარჯიშოებისა და უნარების გამოყენებით. პრაქტიკული

უნარების გამოყენებით, როგორცაა საუბარი, სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება, ანალიზი, ინტერპრეტაცია, გამოორება-რეპროდუქცია, ლექსიკონების გამოყენება და სხვა, მიიღწევა პროგრამაში დასახული მიზანი. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისას გამომუშავდება საკომუნიკაციო უნარები, რაც გულისხმობს დისკუსიაში, მსჯელობაში მონაწილეობას, არგუმენტირების უნარს, ანალიზის უნარს, დამოუკიდებლად, ან ნაწილობრივი დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარს და სხვა.

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ინტეგრაციის მიზნით, ასევე, პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა უნარების განვითარების მიზნით, სასურველია, მოხდეს პროგრამის სტუდენტების ინტეგრაცია ხვადასხვა სტუდენტური აქტივობების ხელშეწყობის გზით. მათ შორის, სტუდენტური კლუბის, სპორტული, სახელოვნებო წრეების, ტუტორიუმისა და სხვა აქტივობებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/ აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის)
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან
- გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

•

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოხდეს პროგრამის სტუდენტების ინტეგრაცია ხვადასხვა სტუდენტური აქტივობების ხელშეწყობის გზით. მათ შორის, სტუდენტური კლუბის, სპორტული, სახელოვნებო წრეების, ტუტორიუმისა და სხვა აქტივობებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

